

## განვითარების სტრატეგია

კლინიკა „ჯერარსი“ ყოველთვის ისწრაფვის იყოს ინოვაციური, ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებული, ჯანდაცვის სისტემაში არსებულ გამოწვევებს უპასუხოს სწრაფად, ეფექტურად და პროფესიონალურად. ჩვენი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია იმისთვის, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი კლინიკის როლი როგორც, რეგიონალური ლიდერის ჯანდაცვის სფეროში.

### სტრატეგიული მიზნები

#### 1. მომსახურების გაფართოება და დივერსიფიკაცია:

- ვუზრუნველყოთ ახალი სამედიცინო სერვისების დანერგვა, მათ შორის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა და ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენება;
- კლინიკის ინფრასტრუქტურის გაფართოება, თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;

#### 2. პაციენტის მოვლის ხარისხის გაუმჯობესება:

- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით განხორციელდეს კლინიკური პროცესების სტანდარტიზაცია, პაციენტის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ინიციატივების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- პაციენტების კმაყოფილების კვლევების რეგულარული ჩატარება, რათა განისაზღვროს მათი საჭიროებები და გაუმჯობესების სფეროები;

#### 3. სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარება:

- თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული გადამზადების კურსების და ტრენინგების ჩატარება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი სამედიცინო პერსონალი ყოველთვის იცნობს და ფლობს თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკებს და ტექნოლოგიებს;
- საერთაშორისო კონფერენციებში და სემინარებში ჩართულობის ხელშეწყობა და კლინიკაში რეგულარული სერტიფიცირებული სასწავლო პროგრამების ჩატარება;

#### 4. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება:

- ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც გააუმჯობესებენ დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარისხს;

- მხარდამჭერი ციფრული სისტემების დანერგვა-გაფართოება, რომლებიც გააუმჯობესებს პაციენტის მონაცემების მართვას, ანგარიშგებას და პაციენტების კომუნიკაციას კლინიკასთან;

#### **5. სოციალური პასუხისმგებლობა და საზოგადოების ჩართულობა:**

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინიციატივების განხორციელება/აქტიური ჩართულობა, რომლებიც მოიცავს დაავადებების პრევენციას, ჯანმრთელობის განათლებას და ინფორმირებულობის ამაღლებას;
- სოციალური პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების მონყვლადი ჯგუფების სამედიცინო დახმარებას;

#### **6. ფინანსური მდგრადობა და რესურსების ეფექტური მართვა:**

- კლინიკის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება და გაძლიერება, რომელიც მოიცავს რესურსების ოპტიმალური გამოყენების გზით ხარჯების შემცირებას და ინვესტიციების მოზიდვას;
- კლინიკის ეკონომიკური მოდელის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებების მიწოდების ხარჯების ეფექტურ მართვას და პაციენტების ხელმისაწვდომობას მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე;

### **ნარმატებული სტრატეგიით მიღწეული შედეგები**

ნარმატებულმა სტრატეგიამ უნდა განახორციელოს შემდეგი:

- ოპერაციული სრულყოფილება (ლიდერობა ფასით);
- მომხმარებელთან დაახლოება (ფოკუსირება);
- პროდუქტის უპირატესობა (დიფენერცია).

**1. ოპერაციული სრულყოფილება.** ეფექტიანი სისტემების დანერგვით:

**2. პროცესებში დანაკარგების (MUDA) აღმოფხვრა და ეფექტიანობის გაზრდა:**

- ბიუროკრატიის შემცირება;
- პერსონალის მოცდენის დროის შემცირება;
- მომარაგების ჯაჭვის გაუმჯობესება და მარაგების ოპტიმიზაცია;
- შეცდომებისა და შეუსაბამობების მართვა;
- გაიდლაინების მკაცრად დაცვა და გაუმჯობესება.

### **3. მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული გადანყვეტილებები:**

- მონაცემების ანალიტიკა საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს პაციენტთა მოვლის და მკურნალობის არსებული დინამიკა/პრაქტიკა. მოხდეს რესურსების ზუსტი გადანაწილება, შეფასდეს ექიმების და სხვა პერსონალის მუშაობის ეფექტიანობა. აღნიშნული უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებას და შედეგების ზოგად გაუმჯობესებას.

### **4. თანამშრომლობა და ინტეგრაცია:**

- სხვა კლინიკებთან თანამშრომლობა საერთო, ინტეგრირებული სერვისების შესაძენად პაციენტის უფრო მეტი კომფორტისთვის და ხარჯების შესამცირებლად (ერთი მომწოდებლისგან რამდენიმე კლინიკისთვის შესყიდვაზე შეთანხმება; პაციენტების დისტანციური მომსახურება, სხვა გაერთიანებული რეფერალური სერვისები).

## **მომსახურების, სერვისის უპირატესობა**

### **1. მონინავე ტექნოლოგიებში ინვესტირება თანამედროვე მკურნალობისა და დიაგნოსტირების მეთოდების დასანერგად:**

- თანამედროვე ტექნოლოგიები დიაგნოსტირება-მკურნალობაში;
- „ჭკვიანი დივაისები“ პაციენტების მოვლის;
- ციფრული-მაღალტექნოლოგიური სისტემები - ადმინისტრაციული, სადიაგნოსტიკო, სამონიტორო და მართვის.

### **2. სპეციალიზირებული სერვისები:**

- სერვისების / მკურნალობის დივერსიფიკაცია: „ყველაფერი“ ერთ სივრცეში პრინციპი;
- ჯანდაცვის ტურიზმი.

### **3. პაციენტის მოვლა/მკურნალობის დამატებითი სერვისები:**

- ინდივიდუალური პაციენტის საჭიროებებზე და პრეფერენციებზე მორგება: კერძო ოთახები / პალატები; ბავშვების, მნახველების მოსასვენებელი და გასართობი ოთახები და სივრცეები; კვების დამატებითი შეთავაზებები; მკურნალობის კოორდინირება და კონსულტირება.

### **4. კლინიკის აკრედიტაცია:**

- სახელმწიფო რეგულაციების შესაბამისად, ან/და ისეთი პაციენტების მოსაზიდად, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ხარისხიან და სანდო სერვისებს;
- საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება და უწყვეტი განვითარება ბაზარზე პოზიციის გასამყარებლად.

### **5. საზოგადოებასთან თანამშრომლობა და სოციალური აქტივობები:**

- უფასო სკრინინგები და კვლევები;
- ნიჭიერი სტუდენტების დაფინანსება (სასწავლებლებში), საქველმოქმედო აქტივობები;

- ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში ჩართულობა-პროექტებში მონაწილეობა.

## **პაციენტთან სიახლოვე, მასზე ფოკუსირება**

### **1. პაციენტის კმაყოფილების კვლევა**

- კვლევების რეგულარული ჩატარება და ანალიზზე დაყრდნობით გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა/პაციენტის მოლოდინებთან თავსებადი მომსახურების და სერვისების დანერვის ხელშეწყობა.

### **2. კულტურული კომპეტენცია:**

- ენის ბარიერის გადალახვა კვალიფიციური კადრებით და შიდა პოლიტიკით. კულტურულ/რელიგიური პრეფერენციების გათვალისწინება (თარჯიმანი, სამლოცველო, სხვ.).

### **3. თანამშრომლობა:**

- პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან თანამშრომლობა, მკურნალობის პროცესის ხარისხის ასამაღლებლად და ნდობის გასაძლიერებლად: მკურნალობის დაგეგმვა, მონიტორინგი, მხარდაჭერა, სწავლება;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის მონაწილეობა.